დავე ქართული მეცნიერი მხოლოდ მაშინ მოუტანს ნაყოფს სამშობლოს მეცნიერებს, როდესაც ახალი ენები ეცოდინება.

მეორეს მხრით, ავიღოთ თვით ის სემინარიელები, რომელნიც ახადემიაში იგზავნიებიან. ვინ წარმოიდგენს, რამდენ ტანჯვას იტანი ითმენენ მაშინ, როდესაც არაფერში დანაშაური არ არიან? ათავეს კაცი სემინარიას, გზავნიან ახადემიაში, შუდიხარ ეკუმენაზე და შტერდები: გვლიან ფილოსოფიაში, ნემეკურში, ფრანგულში, ბერძნულში (იმერელს) და ლათინურში (ქართლელს და კახელს!) ეს საგნები კი, იქნება, თვალითაც არ გენახოს, რადგან ჩვენს სემინარიამი, დიდი ხანია, რაც ამავეს აღარ ასწავლიან. ჯერ ისედაც უკული გისკდება შიშით ჭე მერე კიდეც ის ერთვის ზედ, რომ იმის ნახევარიც არ გისწავლია, რაც რუსის სტუდენტს გაუვლია?! როდესაც შენი ამხანაგი იგებს ასეთს შენს სისუსტეს, ზიზღით გეუბნება: შენ ჩემთან როგორ უნდა დაგაჯინონ, როდესაც ამდენი ჭე ამდენი საგანი არ გისწავლიაო! ეს კიდეც არაფერი. ახადემიის მმართველობამ არ იცის მიზეზი ასეთი საკვირველი მოვლენისა, რადგან იგი დარწმუნებულია, რომ ყველა სემინარიელებს ერთი ჭე იგივე პროგრამა უნდა ჰქონდესთ გავლილი. ამისათვის მათ ვერაფრით ვერ დაარწმუნებ, რომ შენ ეს საგნები არ გისწავლია. ყველა იმს გეუბნება, რომ უკან დაბრუნების დირსი ხარო, რადგან გამაზივლების ტოლად არ გისწავლიაო. წარმოიდგინე ის ცეცხლი, რომელიც ამ დროს სტუდენტის გულში ითთება? აქით უნდა ეცმ, იქით, რამდენიმე თხოვნა უნდა დასწერო, შიგ დაწვრილებით უნდა ახსნა ჭე დაამტკიცო, რომ შენი ბრალი არა არის რა, არ უსწავლეთობით ჭე ბოლოს, როცა გაიგებენ შენს სიმართლეს, ჯერ კვირდებიან, თუ როგორ მოხდა ეს, რომ ეს ჭე ეს საგნები ყველა სემინარიების პროგრამებშია მოქცეული ჭე ამით კი არ უსწავლიათო ჭე ბოლოს კი მიგიდებენ დიდას გაჭირვებით.

მაგრამ ესეც ცოტაა. შედიხარ ახადემიაში; ახალი ენების იწი არ გესძის; იწუებ ანბანიდან ჭე როცა ხედავ, რომ შენს ამხანაგს უკავია ხელში ნემეკური, ფრანგული ჭე კითხელობს



თავისუფლათ, გული გეწვის და ეკითხები შენს თავს: „რა დამიშავებია, მე საბრალოს, რომ ჩემთვის არავის უსწავლეთია ესეები და დღეს კი სავალდებულოდ და საჭიროდ გამხდარა ჩემთვის?“ გულგახეთქილი მიდგები სტუდენტი წიგნს, დაეწაფები, რომ როგორმე მოეწიო ამხანაგს და ან თანუღლებათა დაწერაზედ რიეუზედ გაგაღებუდი არ დარჩე უმასალობისა გამო. ეწაფები, თავს აკლავ, მაგრამ განა კაცი უოვლად შემძლეებელია? როგორ მოეწვი იმას, რომელმაც ეგ საგანი ნ წიფიწადს კბილს და შენ კი ახლა იწუბ ჩხირის თლას?! ასეც ხდება. იქნება, ერთი ენა მოასწრო, მაგრამ შენი ტოლი კი იმავე დროს მესამეს სწავლობს, რადგან 2 ენა მან სემინარიაში ისწავლა.

დიადაც დამაფიქრებელია ეს გარემოება და ჩვენი სამფჯველოებაც ვაღაგებუელია მაზედ დაფიქრდეს. სამფჯველოებად, ჩვენი აზრით, ეს საკითხი ერთ-ერთს კრებაზედ უნდა ადძრას და დააყენოს. ეს მოვლენა წარმოსდგა ზოგიერთი უკეთური ვაქ-ბატონების წყალობით. წარადგინეს, რომ ქართველებს თილასოფის სწავლის ნიჭი არა აქვსთა, განყენებულს იდეებს ვერ ითვ-სებენო, მაღალი მატერიები მათი საქმე არ არისო, ფული ტყვილათ რათ დახვარჯოთ, მასწავლებელი გაკვიცდებაო!! ქართველებს არ უყვართ ახალი ენები, რადგან კონსერვატორები არიანო, «რუტინას» მისდევენ, პროგრესის არა ესმისთ რა და არც ელტვიანო! სოქვეს და რამოდენიმე საგანს წითელი ყარანდში გაუსვეს. მის აქეთ, როგორც რუსები იტყვიან, ამ საგნების ნი слы-ху, ни духу! ჩვენმა სამფჯველოებამ რომ მთავრობას ასეთი მდგომარეობა საქმისა განუმართლს და სურვილიც განაცხადოს მისი შეცვლისა, ყოვლად დაუჯერებელია, რომ ეს თხოვნა შეწყნარებული არ იქნეს და ჩვენი სემინარია სხვებთან არ გასწორდეს. აკადემიებში გავკირვბუდნი არიან, თუ რით აინსნება ეს მოვლენა, რისგან არის, რომ მხოლოდ ამ ერთს სე-

მინარიაში არ გადაიან სრულიად პროგრამას და სტუდენტებს სრულიებით მოუშაადებლად აზზა-ნიან აკადემიაშიო? იმედია, რომ ამ საკითხს ადძრავენ ან აკადემიები და ან სემინარიის მართებლობა. მაგრამ, ვკონებ, არც ჩვენი სამფჯველოება უნდა იყოს ჯერ ისე დაძაბუნებული და მიძინებული, რომ მან ამ საგნის მნიშვნელობა ვერ წარმოადგინოს და მოკლე დროში ამ საკითხს ჯეროვანი პასუხი ვერ მისცეს.

მ. ტაბაკიელი.



წარილი რედაქციის მიმართ.

ქურნალ „მწუქისი“-ს მკითხველებმა უბე უწყინან, რომ ალისუბნის საეკლესიო - სამრევლო სკოლა, დაარსებული ბ. ნ. ჩიკვაძისაგან, იქმნა ნაკურთხი ყოვლად სამფჯველო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან 1891 წელს, სექტემბრის 1, ხოლო სწავლა დაიწყო ამ სკოლაში იმავე თვის 15-დგან. ამ სკოლაში დღეს სწავლობს 180 ემაწვილი. თუ რა სიყვარული მოიპოვა ამ სკოლამ საზოგადოებაში, ამას ცხადად გვიბტკიცებს მოწაფეთა ზემო მოყვანილი რიცხვი, რომელიც თითქმის დღითი-დღე მატულობს. მე არა მსურს, რომ თქვენ და თქვენი გაზეთის მკითხველებს თავი შევაწინო ჩემი და ჩემის ამხანაგის ბ. ფ. დეკანოზის მცვადინობის ქებით, რადგან, თუ რამეს დემოთი შეგვაძლებინებს, ჩვენი შრომის ნაყოფი სადაც უნდა იქნეს, რაც უნდა ვინმე ხელი დაათაროს, ჭეშმარიტება მინც არ დაიმალება და ოდენმე თავს იჩენს სიტყვისამებრ მაცხოვრისა: „არა არს საიდუმლო, რომელი არასადა გამომცხადდა იგი“. მაგრამ ზოგიერთი შემთხვევა, რომელიც არავისაგან მოსაწინო არ არის, განუკიცხავი არ უნდა დარჩეს. ამიტომ იძულებული ვარ ორიოდე სიტყვა

ვსტევა ჩვენს ასპარეზზედ მოდგაწე პირთა სა-
 ეურადდებოდა. წარსულს წელში, სოფ. მუნუ-
 რამი (შორაპ. მაზრაშია) ეგკლესიის კურთხევის
 დროს, ერთმა იქაურმა სამრევლო სკოლის მას-
 წავლლებელმა, უოვლად სამდვდელი გაბრიელს
 წარუდგინა თავის მოწაფეებთან ერთად ერთი
 ჩვენი მოწაფეთაგანი, გვარად ქერციციძე, რო-
 მედღამც თავისი სწავლით დაიმსახურა ეურად-
 დება მათი მეუფებისა, რომედამც დაასაჩქურა ხსე-
 ნებუდი მოწაფე—ჯვართი. ევანებ დიდი დამ-
 ტკიცება და ღაპარაკი არ არის საჭირო შეს-
 ხებ იმისა, რომ ეგკლესიას და სკოლას ურთი-
 ერთ შორის უნდა ჰქონდეს მტკიცე და განუწყ-
 ყვებელი კავშირი და მუდამ ერთმანეთს უნდა
 ეხმარებოდნენ სწავლა-განათლების საქმეში, რა-
 სსაც ცხადათ გვომტკიცებს ჩვენი ძველი დროის
 საეკლესიო ისტორია, რომელიც ნათლად გვი-
 ხატავს, რომ სკოლები პირველიდგანვე შენდე-
 ბოდნენ ეგკლესიების და მოწაფეების ახლო
 და მათში თითქმის ყველა წოდების პირნი, შექ-
 დებისა დაგვარად იდებდნენ სწავლა-განათლებას
 და ბოლოს ხდებოდნენ საზოგადო კეთილ-დღე-
 თობის მოდგაწენი. ესეთი შეურყეველი კავშირი
 ზემო აღნიშნულ დაწესებულებათა შორის უსა-
 ჭიროეს საგნად უნდა მიგვაჩნდეს დღესაც ყვე-
 ლას და ყველგან; მოწაფენი რასაც სკოლაში
 შეიძენენ, იგი მათ თავიანთი მასწავლებლების
 წინამძღოლობით უნდა განამტკიცონ პრაქტი-
 კულად ტაძარში და შეითვისონ შიშითა დვთი-
 სათა და სარწმუნოებით. ამითი მოწაფენი განვი-
 თარდებიან, წახადისდებიან სწავლაზედ, ადექ-
 რის მათ სიყვარული და გრძადება დვთისადმი,
 ხოლო სხვა ყრმათა, მშობელთა და მძინელითა
 ადექრვენ გულში სურვილს სწავლისადმი. მაგ-
 რამ, საუბედურად, უოველივე კეთილს ბეკრი
 მანე სვდება წინ. ჩვენს პატარა საზოგადოებში
 თავს იჩენენ თავის უმეცრებით კეთილის წინა-

აღმდენი—ესენი არიან ზოგიერთთა ეგკლესიის
 კრებულთაგანი, რომელნიც, მიუხედავად იმისა,
 რომ იგინი, ერთის მხრით არიან დავალებულ-
 ნი ადგილობრითი ბლად. მ. ლ. ჭინაშვილისაგან
 და მეორეს მხრით მათთვის ნათხოვნი აქვს ჩვე-
 ნი სკოლის მზრუნველს ბ. ჩიკვაძეს, რომ მათ
 (ეგკლესიის კრებულმა) ნება მისცან ჩვენ მიერ
 დანიშნულს, რიგ-რიგობით, ჩვენი სკოლის სა-
 უკეთესო მოწაფეებს, რომ მათ სადმერთო მსა-
 ხურების დროს ტაძარში წაიკითხონ სიმგლოთა
 სარწმუნოება, სუფელია და სხვა ლოცვები და
 აგრეთვე უოვლად სამდვდელი იმერ, ეპისკოპ.
 გაბრიელის ქადაგებდგან დღის შესაფერი სიტ-
 ყვა, იგინი არ აძლევენ ნებას, არა თუ მისთვის,
 რომ მოწაფეები ცუდად წაიკითხავენ, არამედ რა-
 ლცა ჩვენგან გაუგებარის მიზეზისა გამო და ამი-
 თი უგარგავენ ემაწვილებს სასოებას და სიყვა-
 რულს დვთისადმი *).

აღ. სამ.-სკოლ. მასწ. მ. ზუჩიძე.

* ყველამ კარგად იცის, რომ პირველი და უმთავრესი
 მოვალეობა სამრევლო სკოლის მასწავლებლისა ის არის, რომ
 მან უოველ გერა-რუმ დღეებში შეგროვოს თავის მოწაფეები
 და წაიყვანოს ეგკლესიაში წირვის მოსასმენად. ამას არც ჩვენ
 ვკუთვთ უარს და შეძლებისა და გვარად ვსრულვებთ. მაგრამ
 ჩვენს სკოლაში ყოველთვის ამის შესრულება შეუძლებელი თუ
 არაა, მწელია მიწც და აი რისთვის; სკოლაში სწავლობს 180
 ყმაწვილი, რომელიც ძლიერ შორეული საზოგადოებდგან არიან.
 შაბათობით შინ წასვლას თხოვლობენ ხოლმე. რა ვქნათ,
 არ გავუშათ, არ შეიძლება, რადგან მათ სჭირდებოთ სას-
 მელ-საქმელის მოხანა. ადგილობრითი ეგკლესიებს კრებულნი
 ჩვენს მოწაფეებს ნებას არ აძლევენ, რომ იგინი გერას მღვდ-
 ლებს მოეწაირონ წირვის დროს. გულდაწყვეტილი მოწაფეები
 მოღან და შემოგვიჩიან: „ბ. ტუქულია მოეუმზადე, ამა და ამ
 მღვდლითმე წიგნი წაშართვა და არ წაშაიბოთვა...“



მთელი იუერიის ღ აზნაზეთის მკვე დავით III აღმაქნებელი.

(დასასრული *)

მევე დავითი მეტად მოწიკაღე და გულშემატკი-
ვარი იყო. ის მუდამ მზად იყო შემწეობა აღმოქრნა
გაჭირვებულთათვის. მევე თავის ხელით ურიგებდა
სამოწყალის ყველას და არ შედიოდა იმის განხილ-
ვაში, თუ ვინ რისი მკქონე იყო. სამოწყალის ფა-
რულად დარიგებაში შევიღადა მევე დავითს მისი
მოძღვარი. ერთხელ მევე დავითმა მისკა თურმე
თავის მასწავლებელს, ქათალიკოსს იოანესს, დარი-
გების დასარაგებლად 24,000 დრაქმა. მევე მუდამ
დარიგებზე ზრუნავდა და ცდილობდა გაეღღვიღებინა
მათთვის ცხოვრება. ამ მიზნით მევემ თავის ვრცელ
სამეფოში მრავალს ადვილს დაარსა თავის ხარჯით
საეიდმყოფოები, თავშესაფარი სახლები და სკოლები
გაჭირვებულთათვის. როკ დავითი სახელმწიფო საქ-
მეებს რჩებოდა, ნახულობდა ავადმყოფებს და დარი-
გებს, თავის ხელით ემასხურებოდა და აძღვედა მათ
ნუგეშს. ერთი სიტყვით დავითი ყველას მამობრივი
სიყვარულით ეციღებოდა. დავითი ამავე დროს ცდი-
ლობდა გაეუმჯობესებია საქიდღეღოების ნიეთიერი
მდგომარეობა და აღმადლებია სამეღღეღოება ხალ-
ხის თვალში, ამ მიზნით მევემ ყველა მონასტრები
და საეკლესიო მოსამსახურენი განათავისუფლა ყო-
ველივე სახელმწიფო გადასახადისაგან; მონასტრებს
და ეკლესიებს შესწირა დიდ-ძალი ადვილ-მამულები
კრებულის სასარგებლოდ. ასეთ მზრუნველობას იჩინა
დავითი არა მარტო საქართველოს მონასტრების,
ეკლესიების და მათი მოსამსახურეების შესახებ, არა-
მედ მევემ ბევრი ფული და ადგილები შესწირა სა-
ბერძნეთის წმიდა ადგილების სასარგებლოდ. დიდძალ
საჩუქრებს ზღავნიდა ხალმე მევე იერუსალიშში, კიბ-
რის და სირიის მონასტრებში. მევე დავითმა გაამ-
დიდრა და გამშვენა აჭარ მთის მონასტერი სირიაში.
ამავე დროს დავითი ბევრს ზრუნავდა უფლის სასაფ-
ლაოზე. ყოველი მგზავრი, რომელიც კი კოტაიდან

დააკირღება უფლის სასაფლაოს უზარ-მაზარ შენა-
ბას, ადვილად შენიშნავს, თუ რაადენი უშროპიათ
ამ წმიდა ადგილის სასარგებლოდ ჩენი საქართვე-
ლოს მევეთ: დავითს, თამარს და სხვათა. მევე და-
ვითი მუდამ ზრუნავდა იერუსალიშის მოწინაჭრებზე.
დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის დავითს აგრეთვე
სინას მთის მონასტრისადმი. თუკცა ეს ადვილი ძა-
ლიან შორს იყო საქართველოდამ და გზაცსაში და
ცული, მაგრამ დავითი ვერც ერთმა ამებმა ვერ შე-
აზინა. მან ამ მთაზე ააშენა ეკლესია წკ. მაწამის
ეკატრინეს სახელობაზედ. ეს ეკლესია დღესაც არ-
სებობს ამ მთაზე. ამ მონასტრებში და ტაძრებში
მევე აყენებდა ქართველ ბერებს; მონასტრებს და
ტაძრებს უგზავნიდა საეკლესიო წიგნებს, ხალო ეე-
კლესიების და მონასტრების მოსამსახურეთ აძღვედა
ყოველითვის წლიურ სარჩოს. მევე ზრუნავდა არა
მარტო ეკლესიაზე; ის ამავე დროს ფიქრობდა თავის
ერცელი სამეფოს კეთილ-განწყობალებზე; აკეთებდა
გზებს, რომლის შემწეობით უდავილებდა ერთმანეთ-
ში მისვლა-მოსვლას თავის სახელმწიფოს დამარ-
ბულ მავრებს მცხარეობით; ანახლებდა ხაღებს, რომ-
ლებიც გაუუქებულნი იყვნენ მტრებისაგან.

მევემ დააყენა მსაჯულები და მოსამსახურენი.
უწინდელს დროში ვისაც რაიმე საქმე აწუხ სანიკარი
ჭქანდა მფუკთახ, მეფის გზაზე გაუქვს დროს უნდა
შესულიყო მალა ხეხედ, ანუ გორაზე, რომ ის და-
ენახა მას. ამ კაცს იქადვან უნდა ენიშნებია, რომ
მეფესთან აქვს საქმე. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიი-
ღებდენ მის თხოვას. მევემ შენიშნა, რომ ბევრს
მის ქვეშევრდობით სურსთ მეფის ნახვა, მაგრამ ზო-
გიერთი მიზნისა გამო არ შეუძლიათ მასთან მისვლა;
ამის გამო მევემ დააყენა განსაკუთრებული მოსამსა-
ხურენი, რომელთაც უნდა მიეღათ თხოვნები და
გაერჩათ საქმე; დააყენა აგრეთვე მსაჯულები, რა-
მელთაც ვალად დაუღონა ეხელმძღვანელათ საქმე-
ების განხილვის დროს როგორც ეკლესიური, ისე
სამოქალაქო კანონებით და იმ ქვეყნის ჩვეულებ-
ებით, სადაც ინიშნებოდენ ბოლმე იანი მიჯულ-
ბად, რომ სახელმწიფოში დაარსებულყო წესაურება
და მყუდროება და ამაღლებულიყო ზნეობა, მევემ
დააყენა განსაკუთრებული მოსამსახურენი, რომელთაც
უნდა მოეხსენებიათ ხოლმე მეფესათვის მის ქვეშევრ-
დობათ ყოველქვეა. ქვეშევრდომნიც, მეფის სიყვარუ-
ლობისა და პატივისცემისა გამო, მორიდებულნი იყე-

* იხ. «მწკმისა» № 1, 1893 წ.

ნენ უწყსობებს იმ მეფის წინააღმდეგ, რომელმაც განათავისუფლა და გაანათლა მთელი სამეფო. დავითის მეფობის დროს მისი ქვეშევრდომნი მოსვენებულინი იყვნენ როგორც შინაური, ისე გარეშე მტრებისაგან. მეფე გარდაიცვალა 1125 წელს, 56 წლისა შობილდგან. სულ იმეფა 36 წ.

როცა მეფე დავითს მოუახლოვდა აღსასრულის ქვაში, ის აღიჭურვა სიხარულით და შემდეგი ანდერძი დასწერა: «გიბრძანებნით და მოგავანებნით მეფე მეფეთა დავითი, თავის სიკვილის დღეს და მის ამ ქვეყნად განსვლის დროს, უღირსი და მორჩილი ღვთის მლოცველი მამის ბერ-მონაზონის არსენის პირით თქვენ ყველა ერისთავებს და მისი სამეფოის ყველა შესანიშნავ ქათალიკოსებს, ეპისკოპოსებს და ყველა მათ, რომელნიც იყავით ჩემს მოწყალეებას ქვეშე, შემდეგს: პატარაობიდანვე მიყვარდა სიცოცხლე, დიდება და მთავრობა და არას დროს არ წარმომიდგინია ის დღე, რომელიც მე დღეს საუკუნოდ მისტუმრებს სამარეში; მენანებოდა ამ ამა და წუთიერი ცხოვრების თავის დანებება მანობამდე, ხანამ თვით ამ ცხოვრებამ არ მიმატოვა და აღესვლილი მრავალი ცოდვებით და მწუხარებით არ წარმადგინა იმ მსაჯულის წინაშე, რომელმაც მრავალი მოწყალეობა მომანიჭა მე ამ ქვეყნაზე, პირველად მან მომცა მე ძე დიმიტრი, რომელიც სიბრძნით, გველ-მოქმედებით და ეგვიპტობით უყოთესია ჩემზე, და შემდგომად ამისთანა მეფე არს ჯოდღა უფლისა მართალთათვის, დაშენილთა ამა სოფლად. მივდივარ წინაშე მსაჯულისა, რომლისაგან მივიღე სამეფო. მივდივარ ნუგეშ-ცემული, რომ ძე ჩემი ყოველთვის ჩემი სურვილისამებრ იქცეოდა. დიდი ხანა მსურდა მოსვენება ამა ქვეყნის ზრუნეთაგან, მაგრამ ეცდილობდი სამეფოის დღე-კეთილობაზე, რაიცა უწყის უფალომ, თვით მე და ჩემმა მოძღვარმა. უცებ დაუფლდურდი, მე მეგონა დიდხანს ეიცოცხლებოდი, მაგრამ მოგსტყუედი; მეც როგორც ჩემს მამას წილად მხედა მოკლე ცხოვრება და რომელიც მე არ მომწონდა. დღეს, ღვთის განგებით, მივდივარ მე, ხოლო მევედ მოიწოდების ძე ჩემი, რომელმაც უნდა მართოს ის, რაც მხედა მე და რაც შემიძინია ჩემის და თქვენის შრომით; ე. ი. ნიკოპსიიდან კასპიის ზღვამდე და რასეთილამ სიზიზღედ და არგანამდე, მე ჩაუბარე დიმიტრის დანარჩენი ჩემი შვილები და დედოფალი და ესთავე, რომ თავისი უმკაცრო მხე

კონსტანტინე აღზარდოს და, თუ ღვთის მადლით, ნიჭიერი გამოდეს, თავის შემდეგ დააყენოს მეფედ, ხოლო ღვთს პატივსაცემად, როგორც ჩემს საყვარელს შეიღობს. ყოველივე შეეასრულე მე პატიოსანი და ცხრველ-მყოფელის ჯვარის ძალით და იმსვე ვებარებ ჩემს სამეფო ახვარს და საუნჯეს; ეფულები მივცე უმკრისა, ხოლო ჩემს ძვირფასს ქვეებს და მარგალიტებს ესწრაფე ხახულასა ღვთის - შობილის ხატსა. ოქროს მანეთები და ვრტანიტე ატენის საუნჯისა, რომელიც მე შევიძინე ჩემის სისხლით, მივცე მეფეს დიმიტრის და თუ ის არ ისურვებს, მაშინ ყველა ებეჭე მიეცეს ჩემს მოძღვარს, რომელსაც ესთავე ღვთის სახელით, რომ ნახევარი ამ საუნჯისა მან მოახმაროს იმ მონასტრებს, რომელთაც მე დაქვეყნედი, რათა ამ მონასტრებში მოსამსახურე ილოატნი ჩემთვის. მე მრჩება კიდევ მოუთავებელი მონასტერი, სადაც უნდა განისვენოს ჩემმა და ჩემი შვილების ძელებმა, და ამის ჯავრი თან მიმიყვება. ცხლა ჩემმა ძემ, მევე დიმიტრამ მოათავოს ის მონასტერი თავის და მისი შთამომავლობის საუკუნოდ მოსახსენებლად. რაც გამოვიცა, იმას ჩემი შვილი ნუ შეეხება; ის დასახლებული და დასახლებული ადგილები, რომელიც მე თვითონ შევიძინე, მევე დიმიტრის შემუშავდა უფაოდს ღრმადებით, ვისაც სურს და როგორც ისურვებენ მ. არსენი და ქათალიკოსი».

როცა დავითმა გაათავა ანდერძი, ჩააბარა ის თავის მოძღვარს, ცოტა შეისვენა, შემდეგ იკრჩო სიკვილის მოახლოვება, მიიღო წმ. საიდუმლო და ღვთის დიდებაში განუტყუვა სული თვისი. მეფე დავითს დარჩა ოთხი ეფვი შვილი: დიმიტრი, მეგვიდრე დავითისა, ეახტანგი, გიორგი; კონსტანტინე და სამი ქალი—ეკატერინე, იგივე ირინე შემდეგში საბერძნეთის დედოფალი და თამარი, მეუღლე აქსარტან შირვანელი პრინციისა და რუსულდანი. მეფე დავითის გარდაცვალებამ შეაწუხა მთელი საქართველო. შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდე. ქართველები და დავითში დაქარაღეს მამა, მასწავლებელი, მფარველი და კეთილს-მყოფელი. დავითის გვაში მისმა მოძღვარმა არსენიმ მთელი სამღვდელთაების თანადასწრებით დიდს პატივს-ცემით მიასვენეს გელათის მონასტერში და დასახლდავს უმთავრესი ტაძრის შესავალ ეკლესიაში სახსრეთის მხრით *).

*) დღესაც ამ კარის შესავალ ეკლესიაში მძივს ვლდის ქვის ერთი დიდი ოლილი ფიგური, ნახევრობით გუცვილი, რომელზედაც სუცური ასოებით არის დაწერილი შემდეგი სიტყვები ფსალმუნით მაგალიბისა: «ესე არს განსახვეწელი ჩემი ეფნისამდე, აქ დაევიგორდი (ეს შუგნიერი დექსი უმეტესად მომწონდა ქართველს). ამ დღესს გარდა ამ ქვის ფიგურაზე ვიდრე სხვა წარწერა უყოფილა. მაგრამ იგი დროთა განმავლობისა გვაში წაშლილა, მაგრამ ხალხში ეს დექსი დღესაც არის დევლი.



საქართველოს ეკლესიამ მეფე დავითი მთავალ-
ქენლოძემდებნათვის და წინდა ცხოვრებისათვის შე-
რიცხა იგერიის წმიდანთა შორის და დააწესა
დღესასწაული ოც-და-ექვს იან ეარს მოსახე-
ნებლად დიდისა, სახელოვანისა და წმიდისა მამისა
ჩვენისა მეფე დავითისა *) თვისა შუამდგომლის და
მფარველის უფ. ჩვენს იესო ქრისტეს ტახტის წინაშე.

*) წმიდა და დავითს მოყვარე მეფე დავითი, როგორც მას
აგვიწერს მისი მოძღვარი არსენი თავის ქებით სიტყვაში და-
ვითისადმი, ყოფილა მალღლი და მოსრული ცაცო; ყოფილა
ტანმრთელი ბატულობისა. მეფე დავითის მოსრულობას განმ-
ტყვიებენ ზოგიერთი მისი ნათესავი, რომელნიც დავითს იმანე-
ზიან გელათის ტაძრის საღაროში. ასეთ ნათესავს ეგუფინან:
დავითის ნათესი ბექელი, რომელშიაც თავისუფლად შედის გა-
ტის ხელის სამი თითი, მეფის ნათესი ქოშები, რომელნიც მო-
ტარგულნი არიან ოქროთი და მარგალიტებით; ეს ქოშები ორ-
ჯერ მეტია ჩვეულებრივ ქოშებზე და მეფის ქუდი. ამასთან
დავითი ყოფილა ძალიან ღამაზი ცაცი, თავლები ჰქონებო
დღი, შავი და ზრინანი, წარბები სწორი და სქელი, რომელნიც
ამშვენებდნ დავითის მალღლი შებლსა. ცხვირი სწორე და
მუდამ მღამარე ტუჩები, მოკლე და შავი წვერი და შავი თმა
ამშვენებდნ თურმე დავითის ზომიერს თავს, მეფე დავითს თავ-
ზე ახარავს ოქროსგან გაყვებული და ძვირფასი ქვებით მორ-
თული დაბალი გვირგვინი; ეს გვირგვინი ძალიან წაგავს
ბიზანტიის იმპერატორების გვირგვინებს დავითის გვირგვინს
იქით-აქეთ ჰკვიდია მარგალიტების დასაკიდი; დავითს ტანზე
ავცია მეფის ტანთასამელი იის ფერისა; ამ ტანთასამელზე
მოქარგულია ოქროს სახეები, რომლებიც მორთულნი არიან
ძვირფასი ქვებით. ეს ტანთასამელი ჰკავს მღვდელმთავარის
სტანბარს, მხოლოდ სახელოები აქვს მოკლე, სახელოებზე არის
თათმანები, რომელნიც მოქარგულნი არიან ოქროთი, მარგალი-
ტებით და სხვა ძვირფასი ქვებით საზაფერუბის მსგავსად; მუჯს
ზემოდ სახელოებზე შემოკლებულია ოქროს ქსოვილი, რომელიც
მორთულია ძვირფასი ქვებით და მოდილო მარგალი-
ტებით. საუკლოს გარშემო შემოკლებულია ოქროს ქსოვილი
ბეჭებამდის და იქით-აქეთ არის გადამწერილი თავისი სამღვ-
დელმთავრო ომთოფარის მსგავსად. გადაწერილი თავები მო-
დილო შემოკლებული არიან მსგავსევე ნაქრთი, რომელიც
მორთულია მრავალი ძვირფასი ქვებით და მოდილო მარგალი-
ტებით; სტანბარზე შემოკლებული აქვს ვიწრო და ძვირფასი
ოქროს სარტყელი. მარჯვენა ხელში უკავია გელათის ტაძარ-
ი, ხოლო მარცხენაში—გრაგნილი; ფეხებზე ავცია ქოშები, რომელთაც
ზემო პირი აქვთ გაყოფილი წითელი ხავერდო-
სგან; ეს ხავერდი მარჯვენას და მისი მოქარგული; ქოშებს წვე-
როები ცოტა ზემოდ აქვთ აწვერილი, პურისივლების ქოშების
მსგავსად, სდვას მიღდარს ოქროს ხალჩინზე, ამ ხალჩი დავითი
დაბატულია საქართველოს ძელი კავალსივების კედლებზე,
რომელნიც აშვენებულან დავითის დროს და გელათის ტაძრის
წრდილოეთის კედელზე. მსგავსევე გამოხატულება მეფე დავით-
ისა არის ქვათახევის საერსო ტაძრის კედელზედაც.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ყველას მოეხსენება, თუ რა დიდი ეპარქია
არის ხერსონის ეპარქია და რა მდიდარი ყველ-
სიები და სამღვდლოებაა იქ. ამ ეპარქიაში
თითქმის 1500 მღვდელი იქნება. მაგრამ
სამღვდლოებას ჯერეთ კიდევ ვერ გადაუწყვე-
ტია ემიგრირების დაარსება. ხერსონის ეპარ-
ქიალური უწყებისა უკანასკნელ წმ-ში გამოუ-
ბეჭდავსთ ჰოლოტუარს სამღვდლოების ემიგრ-
ირების კასის წესდება და მღვდელმთავარი წი-
ნადადებს აძლევეს მისადმი რწმუნებულ სამღვ-
დლოებას, ვასინჯონ ეს წესდება და, თუ სა-
სარგებლოდ დაინახონ, მიიღონ იგი. მართლად
რომ ჰოლოტუარს ეპარქიის სამღვდლოების ემი-
გრირების წესდება დიდის მოფიქრებით და დი-
დის გამოკვლევით არის შედგენილი. კასში შე-
სახნის ფულით თითო ჰირისაგან არის მ მან. და
ნახევარი, მაგრამ რადავან კასში ყველა იღებს
მოხანწილობას, ფულის შემტანი ჰირების რი-
ცხვი ზდის ათას-რუას წყევამდე და წელიწადში
10,000 მან. იკრიბება.

მისი ყოვლად უსამღვდლოცობის იმერეთის
ეპისკოპოსის ვაბრიელის სატყუან და მომდგნანს
რუსულ ენაზედ მათი მეუფების სურათით
მარტში გამოვა საბეჭდავიდამ.

ჩვენ მივადეთ ახლად გამოცემული პატარა
წიგნი თამარ მეფე, შედგენილი ბ. დ. კარიჭაშვი-
ლისაგან. წიგნი სუფთად არის გამოცემული,
დირს 15 გ. ამ წიგნში საუბრევიანად არის გა-
მოკლებული, თუ რა იყო მიზეზი თამარ მეფის
სიკვდილის შემდეგ საქართველოს ძლიერი სა-
სიუვოსის ისე მალე დაძაბუნებისა.

თეთისის სასულიერო სემინ. ინსპექტორი
მღვდელ-მონაზონი სიღორე გარდაყვანილი იქნა
ს პეტერს. აკადემიის ინსპექტორად. როგორც
ისმის, ამავე სემინარიის რექტორი მ. არქიმან-
დრიტი ტიხონი დაუნიშნავსთ უფროს ცენზორად
ვეტერბურელი სასული. საცენზორო კომიტეტი.

სემინ. ისმის, რომ თეთლი. სემინარიამ გარ-
დაყვანილი იქნება რექტორად საპარის სასუ-
ლიერო სემინარიის რექტორი.

სწავლა კეთილ-ზნეობასა და სარწმუნოებასზედ.

მოკლე სიტყვა,

მ ა ზ ი ა რ ე ბ ე ლ თ ა დ მ ი .

შიშთა ღვთისათა და სარწმუნოების მოვედით.

სულიერო შეიღწევა და საყვარელნი მოწაფენო! ღვთის შეწევნით თქვენ უცვლანი უკვე მომზადდებულნი ხართ წმინდა საიდუმლო ზიარების მიხედვით. მოვედით შიშით და ძრწოლით, მოვედით მტკაცვე სარწმუნოებით, რამეთუ ესე არს თვით უხრწნელი ხორცი ქრისტესი და ესე არს თვით პატრიარქის სისხლი მისი. არა პური და ღვინო გძლევისთ თქვენ ამ ეახად საჭმელად, არამედ ნამდვილი ხორცი და სისხლი ქრისტესი, რომელიც არის დამწველი ცეცხლი უღირსთა. იტყვიან, რომ ჩვენ უკვე ვართ უღირსნი და უქალღმერთნი წინაშე ღვთისა, გარნა ვხდებით ღირსნი წმ. საიდუმლო ზიარებისა განუსაზღვრელითა და აღურაცხელითა მოწყალეობითა ღვთისათა. ვინაიღვან წმიდა ზიარება ცეცხლი არს უღირსთა შემწველი, ამისათვის ნურავინ იკადრებთ, ძმანო, კანდიერებით მისწრაფებას წმ. ბარძიმიასკენ, რათა არა სასჯელად, გინა დასასჯელად გექმნას თქვენ საიდუმლო ესე. დღეს აქ ამ ქრისტეს სერობაზე, ჩვენ უკველი უნდა ვიყავით სიმდაბლით და გულწრფელის მოაწიებით. თავიანი ვსცეთ წმინდასა საიდუმლოსა, ვითარცა თვით ღმერთსა; უკანასკნელად შევსტერიოთ ცოდვითა მოტყუებისათვის და კრძალვით შევხნეთ წმ. ბარძიმიას, ვითარცა იესო ქრისტეს გვერდსა, საიდამაც გარდმოხდა სისხლი და წყალი. ზიარების შემდეგ ვყოთ თავიანთსცემა წინაშე მაცხოვრის ხატისა და შევსწირთთ მას მადლობა დიდისა მისისა მოწყალეებისათვის. ამიერიდან იყოს განუშორებელი ჩვენის გულიდან ის აზრი, რომ ჩვენთან არს ქრისტე: მას ვილოცავდეთ, მას ვაღივლებეთ და მასთან გვექმნდეს საუბარი, ვითარცა ღვთის მიმღებთ. ეს დღე შერაც-

ხეთ ერთად ერთ თქვენს დიდებად, ერთად ერთ თქვენს ბედნიერებად და სასიხარულო დღესასწაულად. მიხედვით რათავიანთ სახლებში, ცხადეთ, ძმანო, არ შებღალათ თქვენ შორის დამცვიდრებული სიწმინდე. დღეს ღვთის მიმღებთ, საღამოზე არ განავლოთ იგი— თქვენის უძღებებით, უზოპო სმით და უმართებულო ლაპარაკით, ვინაღვან ენა და პირი თქვენი განწმინდა და იესოს სისხლმა და ხორცმა. ერთდეთ ყოველგვარ საცდურთაგან, რათა არა დამკარგოთ ნაყოფი წმინდა ზიარებისა. იქონიეთ მუჯელობა კეთილ საქმეებზე: წარმოადგინეთ დიდსა მოწყალებასა ღვთისასა და უღირსებასა თქვენსა, დღევანდელი თქვენ სისხარულის მონაწილედ განადეთ უზადრუქნიც: ვცით საზრდელი მშვირთა და ხელი შემწეობისა მიაწილით გაკვირებულთა ქერიითა და ობოლთა. ამა მოვალს თქვენდა ყოველის მკარობელი უფალი თქვენი დამზადდებელი და მაცხოვარი თავისი მადლით: თქვენ განსაკურნებლად, განსაძლიერებლად და განსაწინათლებლად. ცუთ თავიანი საშინელთა ქრისტეს საიდუმლოთა და სთქვით:

«მრწამს უფალო, და აღვიარებ, რამეთუ შენ ხარ ქუშპარიცად ქრისტე ძე ღვთისა ცხოველისა, მოსრული სოფლად ცოდელითა ცხოვრებად რომელთაგან პირველი მე ვარ.»

კვლად მრწამს, რამეთუ ესე არს თვით უხრწნელი ხორცი შენი, და ესე არს თვით პატრიარქის სისხლი შენი, შენ უკვე გვედრებო, შეგიწყალე მე, შემნდევ შეცოდებანი ჩენი, ნებსითნი, და უნებლიეთნი, სიტყვით, და საქმით, ცნობით და უმცურებით. და ღირს მყო მე დაუხსჯელად ზიარებად უხრწნელთა სიღმუშეობთა შენთა, მოსატყუებელად ცოდვითა და ცხოვრებად საუკუნოდ. ამინ».

მღვ. მიხეილ გაგაშელაი.

რედაქციის ზასუსი.

მღვლ. ს. თვალ—ძეს. სამწესხარად მარტო რედაქციას აჭკს ვეკლ. მ-ში იმეგმისა სა და განსხვიდლად რ მოიმოკება. განსხვიდლად იმეგონება მარტო რმ-დენიმე წლის სრული გამოცემა და სასჯელად: 1857, 1858, 1859,



1890, 1891 და 1892 წლებსა, თითოეული წლის გამოცემა შეიღვეთ დაუთმობთ უდიდეს მან. და უფრო 2 მ. 50 კ. რედაქტორს ახვის ხარჯით გაუგზავნის მსუფრველთ.

ბაკურ, სოფ. გულ-ის. თქვენი წერილი არ იბეჭდება. „საქმეს წახანდენს რეგენის, ფიციონას დახარალებსო“, ნათესავთა, ასეა ზოგადი მოუძნადებელი მასწავლებლების საქმეც. შედგოგა არა აქვით შესწავლილი, თავისი ხარამდობით და უეცრდობით საქმეს განაფრუებენ და ბოლოს მღვდლებს დახარალებენ სკოლის საქმის უფულა მსჯელობას. იმ თქვენგან ნაჭებ მასწავლებელს აღბედა მღვდლობა სურდა ეშოვა. იროგაღ სკოლად მიტომ დაინურს..

დორ. მღ. ს. ჭუ-ბეს. მღვირვ კეთილი აზრად მოკვლადობთ. წიგნთ-საცავების დარსება ეგვალსაებთან სწორად მოსაწონის საქმეა, მაგრამ გთხოვთ, გენ ნუ გაჩხვდით მოკვლად, რომ გენი გამოცემის შემთხვევა გამოგზავნით, ან ნისათ. წიგნები მთლიანად შეძლებისდაგვარად. არც თქვენ და არც თქვენი ეგვალსაია ისე დარბობი არა ხარ, რომ ცოტა წიგნების გამოსაწერი ფურლები გერ მისაწერნო.

რასს, მღვ. მ. გ-ეს. მღვირვ სსსამოწინო იქნებოდა, რომ თქუნი მოკლე, მაგრამ ფრთხილ მისაწონი, სიტყვად ზღერ მიტეველო და იანერსს თვის ნომერში დატეხებულა

ს. უსუთი, მრველ-ს. 12 მორაქულში 1 იულა გამცემელი აღმოჩნდა. წულის ამოსადები ჭურჭელი რომ არ გარგოდეს, იმით წულის უსარგებლობას ვერაინ დაამტკიცებს. თუ ისეთი საქციელის არის ის, ვინც უხედავ თქვენ იწერებთ, მისთვის მოსალოდნელი სასჯელად გმარსოგორც საქაოსი, ისე სიბოროსი. არ იფიქროთ, რომ მავისთან კაცი სასჯელს ასრდეს, ვინაღუ რომ ხმა არაინ გასრეს..

მანათონს. თქვენი ლექსი არ იბეჭდება. **მღვდ. ი. გრიგოლის.** თქვენ გაზეთს იბარებთ და ფულის შემოტანის შესახებ სრულდებით არაფერს არ იწერებთ. მგელი წლების სელმისაწერი ფურლებიც დიანარც თქვენზე და ეხლა როგორღა მოგსტუფვდებით.. მართალია, გამოქვეყნდობა მთურდით თქვენივს, მაგრამ გენი რედაქტორი გულდებული როდა სასულერიო გამოძეებლებს გაზეთს შემთხვევად უგზავნოს..

სოფლის მომღვარს. გენც ბეკია საინტერესო მასალა გვაქვს საბეჭდავი მითხველებისათვის, ამიტომ თქვენგან გამოგზავნილა სიტყვად არ იბეჭდება.

მუე-ს. ბ. ი. ხარ-ს. რედაქტორ გულითად მადლობას გწმინდით თქვენი ქართულური, გულითადი და მძურა თანაგრძობისათვის. ჭე მისარცად მისაწერი ვართ, რომ მადეთ, თქვენს გუთხეში, ვადევ მთლიანად ქართულდობა..

აფხ-შე. მ. ა. ჭ-ბეს. თქვენი სიტყვა გარცია, მაგრამ საზოგადო მნიშვნელობა არა აქვს და ამისთვის გერ ბეჭდვად.

რატა. მ. ა. შარბამეს. განა არ შეიძლება ისეც მოხდეს, როგორც თქვენ იტყობთ. მაგრამ ეს ახალი წესი შემოიღეს საქმის ხარგებლობისათვის კი არა, ანამედ ფულის შოვისათვის. გვედროთ ღმერთს, რომ ზურსისაგან დაგვიფაროს..

შინდარსი: ფურცლების დელო და თ. ილია გ. ჭეჭევაგაძე, გზუთი, ივერიის რედაქტორ-გამომცემელი (დასრული).— გენი ცნობებს მათანე.—წერილი რედაქტორთან.—მთელი ივერიის და აფხაზეთის მეფე დავით III აღმაშენებელი (დასასრული).—ახალი ამბები და შინაშენები.—მოკლე სიტყვა, მახარებელიადმი.—რედაქციის პასუხი.